სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/412

ქ. თბილისი

20 დეკემბერი 2019

სტუ-ის ქონების საერთაშორისო სტანდარტებით შეფასებისა და პროფესიონალ შემფასებელთა მომზადების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შევიდეს ცვლილებები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ სტუ-ის ქონების საერთაშორისო სტანდარტებით შეფასებისა და პროფესიონალ შემფასებელთა მომზადების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დებულებაში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს დებულებაში ცვლილებების შეტანის საკითხი;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს პროფ. ირინე მამალაძე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**